წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია

2019 წელს განხორციელებული პროექტები

2019 წელი წალენჯიხის მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი წელი იყო განხორციელდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი.

განორციელდა საგზაო ინფრასტრუქტურის 13 პროექტი. გზები დაიგო ფახულანში, ჩქვალერში, ნაკიფუში, ჯგალში, ობუჯში (სამესხიოს და ჯაღირას უბნებში) ქალაქ წალენჯიხაში მეუნარგიას, სოხუმის ქუჩასა და სასარიოს უბანში.

მიმდინარეობს ეწერის, მედანის, სოხუმის ქუჩის,ჩქვალერი-ლეფიფიეს, ობუჯი-ჯიხაშკარისა და მუჟავას გზების რეაბილიტაცია.

სულ დაიგო 51 კილომეტრი გზა, რისმა საერთო ღირებულებამ 17 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა.

ხიდისა და ხიდ-ბოგირების მშენებლობა

აშენდა 45 ხიდ-ბოგირი და 1 საფეხმავლო ხიდი სქურდილას უბანში, რომელიც 2012 წლის სტიქიის დროს დაზიანდა. სულ დაიხარჯა 1 მილიონამდე ლარი.

ნაპირსამაგრი სამუშაოები

სტიქიის პრევენციის ფარგლებში, 2019 წელს განხორციელდა ნაპირსამაგერბის 11 პროექტი, (ობუჯში, მიქავში, წალენჯიხაში, ჯვარში, ფახულანში, ლიაში,საჩინოში) ღირებულება -347 570 ლარი, აქედან 11-ივე პროექტი უკვე დასრულებულია.

წყალმომარაგება

2019 წელი განხორციელდა წყალმომარაგების 3 პროექტი, საჩინოში, ობუჯსა და ნაწილობრივ მუჟავაში.

ასევე გამოცხადდა ტენდერი საპროექტო სამუშაოებზე ჭაბურღილის მოსაწყობად - ეწერში,ფახულანში,ჭალეში, საჩინოში, მიქავასა და ნაკიფუში.

ქალაქ ჯვარში კი მიმდინარეობს წყალმომარაგების სისტემების სრული რეაბილიტაცია, რისთვისაც გამოყოფილი თანხა 18 მილიონ ლარს შეადგენს.

გაზიფიცირება

წალენჯიხას გაზიფიცირება არასდროს ქონია, წელს დაიწყო და აქტიურად მიმდინარეობს ქალაქის ქუცების გაზიფიცირეა. ქალაქის დაქსელვის შემდეგ კი მუნიციპალიტეტის სოფლების გაზიფიცირება მოხდება. სამთავრობო გეგმის ფარგლებში ცამეტივე ადმინისტრაციული ერთეული გაზიფიცირდება. პროექტის დასრულების შემდეგ კი 13,000-ზე მეტი აბონენტი შეძლებს ბუნებრივი აირის საერთო ქსელში ჩართვას.

განათლება

2019 წელს დასრულდა ოჭანესა და ჯგალის საბავშვო ბაღების მშენებლობა, ამჯამად გამოცხადებულია ტენდერი მიქავას საბავშვო ბაღის მშენებლობის დასარულებლად.

2013 წლიდან დღემდე სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 4 ბაღს, აშენდა 6 ახალი საბავშვო ბაღი , ნაწილობრივ რეაბილიტირდა -28, 2013 წლიდან დღემდე დაიხარჯა -2 826 385 ლარი.

2019 წელს 11 საჯარო სკოლაში განხორციელდა სრული და ნაწილობრივი რეაბილიტაცია.

სოფელ ეწერში მიმდინარეობს ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა

იწყება წალენჯიხის #4 (მაზანდარას) საჯარო სკოლის მშენებლობა. ასევე დასრულდა ტენდერი და გამოვლინდნენ გამარჯვებული კომპანიები ნაკიფუ-ლეჟასა და ჯგალი-კანთის სკოლების ასაშენებლად.

სასკოლო ტრანსპორტით უზრუნველყოფილია 30 სკოლის 3000 მოსწავლე.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვა

განხორციელდა მრავალბინიანი კორპუსის გადახურვა, 2013 წლიდან დღემდე გადაიხურა 49 კორპუსი.

ჯანდაცვა

წალენჯიხაში ამბოლატორიების პრობლემის გადაჭრა დაიწყო, ნაკიფუში, მედანში, ჩქვალერსა და ფახულანში ახალი ამბულატორიები შენდება. ასევე დასრულდა ორის ამბულატორიის რეაბილიტაცია, ლიასა და ჯგალის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

მიმდინარეობს 2 ახალი სასწრაფო გადაუდებელი დახმარების ცენტრის მშენებლობა ქალაქ წალენჯიხასა და ჯვარში. რისთვისაც 461 222 ლარი იხარჯება.

2019 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით გაიხარჯა 700 ათასი ლარი. სარგებელი ნახა- 3200 ბენეფიციარმა.

გარეგანათებები

2019 წელს განხორციელდა გარე განათების 25 პროექტი, რისთვისაც 181 ათას ლარზე მეტი დაიხარჯა.

მიმდინარეობს პოლიციისა და სახანძრო-სამაშველო სამსახურის ახალი შენობის მშენებლობა.

სახელმწიფო რწმუნებულის ინიციატივით, მოხდა ინწრას ჩანჩქერამდე მისასვლელი ბილიკების მოწესრიგება და უსაფრთხოების ბილიკების მოწყობა.

2019 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა-131 პროექტი, მოსახლეობამ ტავად აირჩია მის სოფელსა და უბანში განსახორციელებელი პროექტები - პროგრამის ფარგლებში 644 000 ლარი გამოიყო.

2020 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები

მოხდება ლია-ფახულანის დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობა, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება ჭალე-ფახულანის გზას. ქალაქ წალენჯიხასა და ჯვარში ასევე მოხდება შიდა ქუჩების მოასფალტება.

2020 წელს დასრულდება ტერენტი გრანელის სახელობის პარკის სრული რეაბილიტაცია. რეაბილიტაცია ჩაუტარდება შადრევანს, მოეწყობა კალათბურთის, ჩოგბურთის, გოლფის, სკეიდბორდის მოედანი. აღდგება ღია ამფითეატრი, მოეწყობა მისასვლელი ბილიკები, ატრაქციონები, გამწვანება და გარეგანათებები.

მოეწყობა ჭაბურღილები და წყალგაყვანილობის სისტემები ობუჯის, ჭალეს,ეწერის,ფახულანის, ნაკიფუს ადმინისტრაციულ ერთეულებსა და ქალაქ წალენჯიხის საარახამიოს უბანში.

გაგრძელდება ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაცია. ახალი ამბულატორიები აშენდება ზღვაიას დასახლებასა და ჭალეს ადმინისტრაციულ ერთეულებში.

სტიქიის პრევენციის ფარგლებში მოეწყობა ნაპირსამაგრი გაბიონები სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში.

2020 წელს განსახორციელებელ პროექტებზე 20 მილიონი ლარი დაიხარჯება